სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/10/2024

MES 3 24 0001303375

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/232 დადგენილების, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/233 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2024-2025 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში (ერასმუს+) მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- **თამარ ლომინაძე –** ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- **დავით მახვილაძე** - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

- **თეა მურვანიძე** - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- **მიხეილ ჯანიკაშვილი** - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
- **ზაზა ბუაჩიძე** - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;
- **ბექა მაისურაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- **დავით ლეშკაშელი** - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/;
- შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი.

2. დაევალოს კომისიას:

ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსისთვის გამოცხადებულ ვადებში.

ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/232 და №01-05-04/233 დადგენილებებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;

გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თამარ ლომინაძეს.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

რექტორი
გურგენიძე დავით